

შპს „მაქს ვუდი“

(ს/კ 402173410)

ფინანსური ანგარიშგება

რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

## შინაარსი

|                                                                                                                        |   |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....                                            | 3 |
| მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს<br>დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის ..... | 4 |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული<br>საანგარიშგებო წლისთვის .....              | 5 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული<br>საანგარიშგებო წლისთვის .....          | 6 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც<br>დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს .....   | 7 |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 31.12.2020 31.12.2021 31.12.2022

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

|                                     |   |            |                |                |
|-------------------------------------|---|------------|----------------|----------------|
| სატრანსპორტო საშუალებები            |   | -          | 17,369         | 15,508         |
| საოფისე ინვენტარი                   |   | -          | 2,050          | 5,894          |
| მანქანა-დანადგარები                 | 7 | -          | 3,117          | 432,430        |
| წვრილი ზ/ს-ები ექსპლუატაციაში       |   | -          | 8,110          | 6,603          |
| დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები |   | 410        | 485,410        | -              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>    |   | <b>410</b> | <b>516,055</b> | <b>460,435</b> |

მოკლევადიანი აქტივები

|                                          |   |            |                  |                  |
|------------------------------------------|---|------------|------------------|------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები              | 4 | -          | 466,882          | 562,841          |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან |   | 60         | 42,699           | -                |
| მოთხოვნები ანგარიშ-ვალდებულ პირებთან     |   | -          | (53)             | (53)             |
| საგადასახადო აქტივები                    | 6 | -          | 148,209          | 156,588          |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები        | 5 | -          | 585,984          | 531,184          |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>         |   | <b>60</b>  | <b>1,243,721</b> | <b>1,250,560</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                      |   | <b>470</b> | <b>1,759,776</b> | <b>1,710,995</b> |

ვალდებულებები და კაპიტალი

გრძელვადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები

|                                                     |   |          |                  |                  |
|-----------------------------------------------------|---|----------|------------------|------------------|
| ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან | 8 | -        | 19,608           | 100,251          |
| მოკლევადიანი სესხები                                | 9 | -        | 1,531,418        | 1,422,215        |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                            |   | <b>-</b> | <b>1,551,025</b> | <b>1,522,466</b> |

საკუთარი კაპიტალი

|                                      |  |            |                  |                  |
|--------------------------------------|--|------------|------------------|------------------|
| საწესდებო კაპიტალი                   |  | 510        | 510              | 510              |
| გაუნაწილებელი მოგება                 |  | -          | -                | 208,241          |
| მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი     |  | (40)       | 208,241          | (20,223)         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |  | <b>470</b> | <b>208,751</b>   | <b>188,528</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |  | <b>470</b> | <b>1,759,776</b> | <b>1,710,994</b> |

ხელმოწერილი და დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 29.09.2023წ.

დირექტორი: ვიქტორ მესხი

7-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

|                                                        | შენიშვნა | 2021             | 2022             |
|--------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>საოპერაციო შემოსავლები</b>                          |          |                  |                  |
| შემოსავალი პროდუქციის გაყიდვიდან                       | 10       | 3,502,368        | 2,239,594        |
| გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება                       |          | (24,290)         | (44,720)         |
| <b>სულ საოპერაციო შემოსავლები</b>                      |          | <b>3,478,078</b> | <b>2,194,874</b> |
| <b>საოპერაციო ხარჯები</b>                              |          |                  |                  |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება                       | 7        | 2,933,065        | 1,787,165        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                   |          | 2,683            | 58,577           |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                          |          | <b>2,935,747</b> | <b>1,845,742</b> |
| <b>ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები</b>                 |          |                  |                  |
| შრომის ანაზღაურება                                     | 12       | 269,693          | 235,550          |
| რეკლამის ხარჯები                                       |          | 21,288           | 34,891           |
| საიჯარო ქირა                                           | 12       | 93,295           | 69,814           |
| სადაზღვევო ხარჯები                                     |          | 5,023            | 6,092            |
| საოფისე ინვენტარი                                      |          | 2,408            | 4,195            |
| კომუნიკაციის ხარჯი                                     |          | 1,982            | 2,337            |
| ტრანსპორტირების ხარჯი                                  |          | 33,735           | 17,657           |
| საწვავის ხარჯი                                         |          | 8,145            | -                |
| მომსახურების ხარჯები                                   |          | 36,631           | 39,068           |
| საპენსიო შენატანის ხარჯი                               |          | 5,042            | 4,252            |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                                |          | 3,560            | 1,143            |
| ქონების გადასახადი                                     |          | 2,574            | 2,458            |
| ბანკის საკომისიო ხარჯი                                 |          | 10,237           | 6,387            |
| სხვადასხვა ხარჯები                                     |          | 14,035           | 11,757           |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                          |          | <b>507,648</b>   | <b>435,601</b>   |
| <b>სულ საოპერაციო, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები</b> |          | <b>3,443,396</b> | <b>2,281,343</b> |
| არასაოპერაციო შემოსავლები                              | 11       | 268,385          | 241,386          |
| არასაოპერაციო ხარჯები                                  | 13       | 94,826           | 175,140          |
| <b>საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი</b>               |          | <b>208,241</b>   | <b>(20,223)</b>  |

ხელმოწერილი და დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ 29.09.2023წ.

დირექტორი: ვიქტორ მესხი

7-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის**

|                                                                         | შენიშვნა | 2021               | 2022             |
|-------------------------------------------------------------------------|----------|--------------------|------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                         |          |                    |                  |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა                                               |          |                    |                  |
| მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები                                 |          | 4,095,184          | 2,685,077        |
| სხვა შემოსავლები                                                        |          | 193,132            | 137,713          |
|                                                                         |          | <b>4,288,315</b>   | <b>2,822,791</b> |
| <b>ფულადი ნაკადების გასვლა</b>                                          |          |                    |                  |
| გადახდილი ხელფასები                                                     |          | 228,193            | 193,157          |
| საქონლის და მომსახურების ყიდვები                                        |          | 4,793,513          | 2,050,726        |
| გადახდილი გადასახადები                                                  |          | 258,715            | 294,311          |
| საპენსიო ფონდში განხორციელებული შენატანი                                |          | 8,908              | 9,213            |
| მყიდველებისთვის დაბრუნებული ფულადი სახსრები                             |          | 50,920             | 96,000           |
| სხვა გადახდები                                                          |          | 35,538             | 83,425           |
|                                                                         |          | <b>5,375,787</b>   | <b>2,726,832</b> |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>         |          | <b>(1,087,472)</b> | <b>95,959</b>    |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                       |          |                    |                  |
| ძირითადი საშუალების გაყიდვა                                             |          |                    |                  |
| ძირითადი საშუალების ყიდვები                                             |          |                    |                  |
| კაპიტალური დანახარჯები                                                  |          |                    |                  |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>    |          | <b>-</b>           | <b>-</b>         |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური ოპერაციებიდან</b>                          |          |                    |                  |
| მიღებული სესხი                                                          | 9        | 1,554,353          |                  |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>    |          | <b>1,554,353</b>   | <b>-</b>         |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო წლის დასაწყისში</b> |          | <b>-</b>           | <b>466,882</b>   |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო წლის ბოლოს</b>      |          | <b>466,882</b>     | <b>562,841</b>   |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება</b>    |          | <b>466,882</b>     | <b>95,959</b>    |

ხელმოწერილი და დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 29.09.2023წ.

დირექტორი: ვიქტორ მესხი

7-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის**

|                                            | კაპიტალის ნაშთი<br>31.12.2021-ის<br>მდგომარეობით | გადახდილი<br>დივიდენდები | მიმდინარე პერიოდის<br>მოგება-ზარალი | კაპიტალის ნაშთი<br>31.12.2022-ის<br>მდგომარეობით | შენიშვნა |
|--------------------------------------------|--------------------------------------------------|--------------------------|-------------------------------------|--------------------------------------------------|----------|
| კაპიტალი                                   | 510                                              |                          |                                     | 510                                              |          |
| მიმდინარე პერიოდის<br>მოგება-ზარალი        | 208,241                                          |                          | (20,223)                            | 188,018                                          | 14       |
| კაპიტალის ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით |                                                  |                          |                                     | 188,528                                          |          |

ხელმოწერილი და დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 29.09.2023წ.

დირექტორი: ვიქტორ მესხი

7-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების  
განუყოფელი ნაწილია.



## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მაქსვუდი (შემდგომში “კომპანია”) დაფუძნდა 2020 წლის 28 ოქტომბერს, საიდენტიფიკაციო კოდი - 402173410.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ქუჩა ფეიქრები, N 14.

ამავე ამონაწერით, კომპანიის დამუშენებლების წილობრივი მონაწილეობა კომპანიის კაპიტალში, განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ფ/პ ვიქტორ მესხი (პ/ნ 501008025261) – 100 %.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 510 (ხუთას ათი) ლარით.

კომპანიის საქმიანობას წარმართავს დირექტორი ვიქტორ მესხი (პ/ნ 501008025261).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ხე-ტყისა და სამშენებლო მასალებით, ასევე ხის ხერხვა და რანდვა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 7 თანამშრომელი.

### 2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

#### მომზადების საფუძველი

შპს მაქს ვუდის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რადგანაც არსებობს საკმარისი რწმუნება იმის შესახებ, რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისთვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა 1C ERP.

#### სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების

თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### **შეფასების საფუძველი**

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არის გათვალისწინებული. კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და აღიარებს მათი ეკონომიური შინაარსიდან გამომდინარე, თუმცა ითვალისწინებს მათ სამართლებრივ მხარესაც.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 (ერთი) კალენდარულ წელს: 01 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წარმოებს პირდაპირი მეთოდით. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

### **სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ჰიპოთეტური ოპერაციის შემთხვევაში.

როდესაც ხდება სამართლიანი ღირებულების შეფასება, კომპანია იყენებს საჯაროდ გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან თანამშრომლობით) ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს.

### **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები**

მარაგები შედგება აქტივებისგან, რომელთაც გასაყიდად გამიზნული მასალის დანიშნულება აქვთ. ისინი ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარიალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება იმ ღირებულებით, რომელიც გაწეულ იქნა მის მოცემულ ადგილამდე და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. იგი მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და საწარმოს ზედნადებ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

#### ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების ზარალი.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

მომსახურების ვადა (წელი)

|                                         |      |
|-----------------------------------------|------|
| მანქანა-დანადგარები -                   | 7-10 |
| საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა - | 3-5  |
| სატრანსპორტო საშუალებები -              | 7-10 |
| წვრილი ძირითადი საშუალებები -           | 3-5  |

ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, ამ აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში, თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოსთვის.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება ამ აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან/და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## **მფლობელთა კაპიტალი**

მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ კომპანიის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ სამართლიან ღირებულებას.

## **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს.

## **მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებია მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღრიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

## **დივიდენდები**

დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

## **გაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთ-ჩარიცხვა ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

## **პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები**

ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

### **შემოსავალი მომსახურების გაწევიდან**

შემოსავლებს წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები.

შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თუ მთლიანი ეკონომიური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელთა გაზომვა საიმედოთაა შესაძლებელი.

### **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით.

სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად, კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

### **საქონლისა და მომსახურების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები**

ხარჯების აღიარება ხდება აღიარებული შემოსავლების პროპორციულად. ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გაწევისთანავე, თუ მის შედეგად მოსალოდნელი აღარ არის ეკონომიური სარგებლის მიღება ან თუ მომავალი ეკონომიური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან წყვეტს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომელიც მის ბალანსში აქტივად აღიარებისთვისაა აუცილებელი.

### 3. მნიშვნელოვანი მოვლენა

საანგარიშგებო პერიოდში აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

### 4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

| ფული და ფულის ექვივალენტები       | 2022           | 2021           |
|-----------------------------------|----------------|----------------|
| ფული საღაროში                     | 529            | 398            |
| ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე | 52,263         | 196,740        |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე  | 510,049        | 269,744        |
|                                   | <b>562,841</b> | <b>466,882</b> |

კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის რაიმე სახის ზარალს იმ ბანკების ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობის გამო, სადაც ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტებია განთავსებული. ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების საბალანსო და რეალური ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

### 5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები | 2022           | 2021           |
|-----------------------------------|----------------|----------------|
| საქონელი საწყობში                 | 529,915        | 575,729        |
| სამშენებლო მასალები               | 1,018          | 9,997          |
| სხვა მასალები                     | 252            | 257            |
|                                   | <b>531,184</b> | <b>585,984</b> |

### 6. საგადასახადო აქტივები

| საგადასახადო აქტივები                | 2022           | 2021           |
|--------------------------------------|----------------|----------------|
| საბაჟოზე გადახდილი და ჩასათვლელი დღგ | 76,409         | 165,298        |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები      | 80,179         | (17,089)       |
|                                      | <b>156,588</b> | <b>148,209</b> |

## 7. ძირითადი საშუალებები

| ძირითადი საშუალებები                                    | მანქანა-დანადგარები | საოფისე ინვენტარი | სატრანსპორტო საშუალებები | წვრილი ძ/ს-ები ექსპლუატაციაში | დაუმონტაჟებული მოწყობილობები |
|---------------------------------------------------------|---------------------|-------------------|--------------------------|-------------------------------|------------------------------|
| ისტორიული ღირებულება 31.12.2021-ის მდგომარეობით         | 3,506               | 2,546             | 18,609                   | 8,667                         | 485,410                      |
| დაგროვილი ცვეთა 31.12.2021-ის მდგომარეობით              | (389)               | (496)             | (1,241)                  | (557)                         | -                            |
| ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31.12.2021-ის მდგომარეობით | <b>3,117</b>        | <b>2,050</b>      | <b>17,369</b>            | <b>8,110</b>                  | <b>485,410</b>               |
| ძირითადი საშუალებების შემოსვლა                          | 484,499             | 5,635             | -                        | 352                           | 4,796                        |
| ძირითადი საშუალებების გასვლა                            | 2,119               | -                 | -                        | -                             | 490,205                      |
| ძირითადი საშუალებების დარიცხული ამორტიზაცია             | 53,067              | 1,790             | 1,861                    | 1,859                         | -                            |
| ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31.12.2022-ის მდგომარეობით | <b>432,430</b>      | <b>5,894</b>      | <b>15,508</b>            | <b>6,603</b>                  | <b>0</b>                     |

## 8. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან

| ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან | 2022           | 2021          |
|-----------------------------------------------------|----------------|---------------|
| ვალდებულებები მომწოდებლებთან მიღებული ავანსები      | 93,148         | 19,608        |
|                                                     | 7,103          | -             |
|                                                     | <b>100,251</b> | <b>19,608</b> |

## 9. მოკლევადიანი სესხები

| მოკლევადიანი სესხები                | 2022             | 2021             |
|-------------------------------------|------------------|------------------|
| მოკლევადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში | 676,350          | 676,350          |
| მოკლევადიანი სესხი უცხოურ ვალუტაში  | 745,865          | 855,068          |
|                                     | <b>1,422,215</b> | <b>1,531,418</b> |

## 10. საოპერაციო შემოსავალი

| საოპერაციო შემოსავლები           | 2022             | 2021             |
|----------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი პროდუქციის გაყიდვიდან | 2,239,594        | 3,502,368        |
| გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება | (44,720)         | (44,720)         |
|                                  | <b>2,194,874</b> | <b>3,457,648</b> |

მიმდინარე პერიოდში აღიარებული შემოსავალი კორექტირდება უკან დაბრუნებული რეალიზებული პროდუქციის ღირებულებით. 2021 წელს ასეთმა დაბრუნებებმა შეადგინა რეალიზაციის 1%, ხოლო 2022 წელს - 2%.

11. არასაოპერაციო შემოსავალი

| არასაოპერაციო შემოსავლები        | 2022           | 2021           |
|----------------------------------|----------------|----------------|
| შემოსავალი კონვერტაციის შედეგად  | 225            | 614            |
| არასაოპერაციო შემოსავალი         | 1,097          | 1              |
| შემოსავალი ვალუტის გადაფასებიდან | 239,085        | 104,318        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი    | 979            | 163,451        |
|                                  | <b>241,386</b> | <b>268,385</b> |

12. საიჯარო ქირა

| საიჯარო ქირა             | 2022          | 2021          |
|--------------------------|---------------|---------------|
| ჯი არ სი                 | 69,814        | 90,880        |
| უნივერსალ ინტრალოჯისტიკს | -             | 2,415         |
|                          | <b>69,814</b> | <b>93,295</b> |

13. არასაოპერაციო ხარჯები

| არასაოპერაციო ხარჯები          | 2022           | 2021          |
|--------------------------------|----------------|---------------|
| ზარალი კონვერტაციის შედეგად    | 14,629         | 8,920         |
| გასავალი ვალუტის გადაფასებიდან | 160,510        | 85,906        |
|                                | <b>175,139</b> | <b>94,826</b> |

14. კაპიტალი

ცხრილში მოცემულია კომპანიის კაპიტალის მუხლობრივი ჩაშლა 2021 და 2022 წლების ბოლოსათვის:

| კაპიტალი                         | 2022           | 2021           |
|----------------------------------|----------------|----------------|
| საწესდებო კაპიტალი               | 510            | 510            |
| გაუნაწილებელი მოგება             | 208,241        |                |
| მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი | (20,223)       | 208,241        |
|                                  | <b>188,528</b> | <b>208,751</b> |

